



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №19

2014 წლის 11 აპრილი

ქ. დუშეთი

საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გასამართავად შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გასამართავად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოს დანართ №1-ში მითითებული შენობა-ნაგებობები.
2. ამ განკარგულებით გამოყოფილი შენობა-ნაგებობების შესახებ ეცნობოს დუშეთის N28 საოლქო საარჩევნო კომისიას.
3. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ცაჯ

ცარო სამაგლიშვილი



დანართი №1

საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გასამართავად გამოყოფილი შენობა-
ნაგებობების ნუსხა

1. ქ. დუშეთში – დუშეთის კულტურის სახლი.
2. დაბა ჟინვალში – ჟინვალის კულტურის სახლი.
3. დაბა ფასანაურში – ფასანაურის კულტურის სახლი.
4. სოფელ მადაროსკარში – მადაროსკარის კულტურის სახლი.
5. სოფელ ჭოპორტში – ჭოპორტის კულტურის სახლი.
6. სოფელ არაგვისპირში – არაგვისპირის კლუბი.